

## 06სტიტუტი “ტალღა”

დირექტორი – ხათუნა ლომსაძე

სამეცნიერო ერთეულის შემადგენლობა:

განყოფუფროსი – მთავარი მეცნიერ-მუშაკი – 1, მთავარი მეცნიერ-მუშაკი -2,  
მეცნიერ-მუშაკი-4

### I. 1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტის  განახლებადი ენერგიის და ენერგოეფეტურობის ცენტრის 2015 წლის საგრანტო პროექტი „ტალღის ენერგიის გარდამქმნელის ახალი მოდელი“	მ.ჭირაქაძე	შ.ხიზანიშვილი  კ.გორგაძე
პროექტის მიზანი იყო ზღვის ტალღების ენერგიის ელექტრულ ენერგიაში გარდამქმნელი მექანიზმის ახალი მოდელის შექმნა. გარდამქმნელ მექანიზმში გამოყენებული იქნა ტალღის მოძრაობის მიმართულებით პორიზონტალურად განლაგებული ინდუქციური კოჭები მათზე მოსრიალე მაგნიტებით. შექმნილი მოდელი სრულად აკმაყოფილებს დახმული ამოცანის პირობებს, როგორც ფუნქციური ისე ენერგეტიკული თვალსაზრისით.			

### I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით		
1	<b>ახალი თაობის დოზიმეტრების დამუშავება გარემოს რადიოეკოლოგიური მდგომარეობის უწყვეტი მონიტორინგის მიზნით</b>	ზ. ჭახნავია ქ. ჭახნავია	ს. ფადავა ზ. სიყმაშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

**პროექტის მიზანს** წარმოადგენს ფართო, საიმედო მეტროლოგიური მახასიათებლებისმატარებელნ/გ მიკროსენსორზედაფუძნებული, მცირე ენერგომოხმარების და ღირებულების – ინოვაციური დოზიმეტრული სისტემის შექმნა. (საყურადღებოა, რომ შექმნილი სისტემა არ საჭიროებს მასში ჩამონტაჟებულ ავტონომიურ კვებას, ვინაიდან მისი დროში უწყვეტი, სტაბილური ფუნქციონირება და ინფორმაციის გადაცემა უზრუნველყოფილი იქნება გარეგანი (ბუნებრივი და ტექნოგენური) მაიონიზებელი გამოსხივებით.


მიკროსენსორში, რომელიც შედგება ნახევარგამტარულ მასალაში (Si, GaAs)  $I^2L$ -ლოგიკური გენტილების საფუძველზე ფორმირებული წრიული გენერატორისაგან, აღიძვრება შთანთქმული დოზის შესაბამისი ინგექციური ფოტოდენები, რაც უზრუნველყოფს მიკროსქემის კვებას და გარკვეული პარამეტრების მქონე რადიოსინშირული დიაპაზონის ელექტრომაგნიტური რხევების (1-10 გიგაჰერცი) აღძვრას. აღძრული რხევები გამოსხივდება პლანარული ანტენით, რაც დახშულ სივრცეებში მისი გამოყენების საშუალებას იძლევა, ხოლო გამოსხივებული სიგნალის მიღება კი განხორციელდება სტანდარტული მეთოდით.

### ჩატარებული სამუშაოები


ამ მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად ჩატარდა საინფორმაციო კვლევა და ანალიზი. შესწავლილი იქნება სენსორის გამოყენების შესაძლებლობა არა მარტო რადიაციის დოზის განსაზღვრისთვის, არამედსხვა სახის გამოსხივებისთვისაც, როგორიცაა რენტგენული, ოპტიკურ-სხივური, თბური (ზეგეგის ეფექტი) და სხვა.

აგრეთვე შესრულდა: а)სენსორის რეგისტრატორის სქემის მოდელირება. ბ)სენსორის მიერ გამოსხივებული სიგნალის ფორმის (ფორმატის) ელექტრული ბლოკისა და გამომსხივებელის ელექტრული სქემის მოდელირება. როგორც აღინიშნა ჩიპის არქიტეტურა  $SiS_{R}$ ლებულია  $I^2L$ -ლოგიკური გენტილების საფუძველზე (იხ. ნახ.1, 2). ეს ტექნოლოგია უზრუნველყოფს მინიმალური სიდიდის დენებს ვენტილზე (ნანოდან ერთეულ მიკროამპერამდე). მოქმედი კომპიუტერული ვერსიის ფუნქციონირებს ადასტურებს მის ვარგისიანობას პრაქტიკული დანიშნულების თვალსაზრისით. ვირტუალური სქემა და მისის

მოდელირება განხორციელდა Proteus-ის პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე.



ნახ. 1. 15 და 5 კასკადიანი წრიული გენერატორების ელექტრული სქემა



ნახ. 2. ელექტრული სქემის მოდელირება

მომავალში დაგემილია: ა) ნახევარგამტარული სქემის დამზადება ჰიბრიდულ გარიანტში. ბ) ნახევარგამტარული მასალის მოძიება და გაზრდა სხვადასხვა გადასვლის ბარიერებისთვის (p-n ან ჰეტეროგადასვლები) შესაბამისი პარამეტრებით სხვადასხვა გამოსხივების ელ. ენერგიის მისაღებად. გ) მიღებული ნიმუშების შუალედური და საბოლოო გაზომვები. დ) ჩატარდება შედარებითი გაზომვები დამუშავებული ნ/გ მიკროსენსორის და სტანდარტული რადიაციული დოზიმეტრების გამოყენებით.

**II.2. პუბლიკაციები:**

ბ) უცხოეთში

სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ქურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გეერდების რაოდენობა
1	<b>K.Gorgadze T.Berikashvili G.Nabakhtiani T.Berberashvili Sh.KhizaniSvili</b>	<b>Formation of Titanium alloys 3D Nanostructures  Nano Studies  ISSN 1987-8826</b>	No9 2014	<b>House Nekeri</b>	117-180
2	<b>G.Nabakhtiani L.Chkhartishvili A.Gigineishvili K.Gorgadze</b>	Radioactive Waste Manajment in Georgia	No9 2014	<b>House Nekeri</b>	149-154
<p>განხილულია ფორმის მახსოვრობის მქონე ტიტანის შენადნობებში სხვადასხვა თერმომექანიკური დამუშავების შედეგად შენადნობის მოცულობაში 3D სტრუქტურის ნანონაწილაკების ჩანასახების წარმოქმნის და ზრდის მექანიზმები, აგრეთვე მათი გავლენა ფორმის მახსოვრობის ეფექტზე და ზედრეკადობაზე.</p> <p>საქართველო აქტიურ მონაწილეობას იღებს რადიოაქტიური ნარჩენების მართვაში. საერთაშორისო მხარდაჭერით აშენდა და ფუნქციონირებს რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალური საცავი. საქართველომ, ისევე როგორც სხვა ქვეყნებმა, უნდა შეიმუშაოს თავისი პოლიტიკა რადიოაქტიურ ნარჩენებთან მიმართებით და გაატაროს პრაქტიკაში.</p>					

### III. 1.სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Z.Gasitashvili P.KervaliSvili A.chirakadze A.Gigineishvili Z.Buachidze K.Gorgadze	<b>Advanced methods of utilization of secondary resources for energy production and accumulation</b>	აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია  საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა  თბილისი -2015
2	R. Melkadze T. Makalatia A. didebashvili Z. Chaknacia G. Kalandadze G. Peradze	ნახევრადგამტარული ნანოსტრუქტურების მიღების ტექნოლოგია	2 <sup>nd</sup> International Conference MODERN TECHNOLOGIES AND METHODS OF INORGANIC MATERIALS SCIENCE  pp.380-384  თბილისი -2015
3	T. Pavliashili Z. Chaknacia A. Tutunjian	სილიციუმის დიოქსიდის დაფენა მონისილანის დაფანგვის მეთოდით ნახევრადგამტარული ინტეგრალური სქემების დამზადების ტექნოლოგიაში	2 <sup>nd</sup> International Conference MODERN TECHNOLOGIES AND METHODS OF INORGANIC MATERIALS SCIENCE  pp.359-365  თბილისი -2015

4	R. Melkadze A. Didebashvili G. Kalandadze G. Peradze T. Makalatia Z. Chaknakia K. Chitaia	ნანოსტრუქტურები რენტგენული სენსორებისთვის	ADVANCED MATERIALS AND TECHNOLOGIES Proceedings (2015)  pp. 176-179  თბილისი -2015
<p>1. მსოფლიოში ადამიანის მიერ მართული და ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობის შედეგად გროვდება მიღიარდობით ტონა ნარჩენი, რომელიც აბინძურებს გარემოს და საფრთხეს უქმნის როგორც ფლორას და ფაუნას, ასევე ადამიანის არსებობასაც. ნაშრომში ორგანული და ინერტული ნარჩენები განხილულია, როგორც მეორადი ნედლეულის წყარო და დასახულია გზები და მეორები გარემოს დაცვასთან ერთად გადამუშავების შედეგად მიღებული იქნას ენერგია და მეორადი ნედლეული</p> <p>2,3,4. ნაშრომებში აღწერილია ნახევრადგამტარული (ნ/გ) ნანოსტრუქტურების უნიკალური ტექნოლოგიები და მათი გამოყენების სფეროები და აგრეთვე დიელექტრიკული ფენების მიღების ახალი ტექნოლოგიური პროცესების მიღების უპირატესობანი სხვა დიელექტრიკულ ფენებთან შედარებით ნ/გ ხელსაწყოების და ინტეგრაციური სქემების დამზადებისას.</p>			

### ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	<b>Nabakhtiani G.N Chkhartishvili L.S Gigineishvili A.V Gorgadze K.M.</b>	Radioactive Waste Management in Georgia	Eighth International Conference  “Materials and Coating for Extreme Performances: Investigation, Application, Ecologically Safe Technologies for Their production and Utilization”  September ,2014

		Kiev, Ukraine
საქართველო აქტიურ მონაწილეობას იღებს რადიოაქტიური ნარჩენების მართვაში. საერთაშორისო მხარდაჭერით აშენდა და ფუნქციონირებს რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალური საცავი. საქართველომ, ისევე როგორც სხვა ქვეყნებმა, უნდა შეიმუშაოს თავისი პოლიტიკა რადიოაქტიურ ნარჩენებთან მიმართებით და გაატაროს პრაქტიკაში.		

**IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე  
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

**IV. 2.**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებები
2	სტუ-ს ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში ბუნებრივი წარმოშობის რადიოაქტიური აირის - რადონის კონცენტრაციის დროითი და სივრცითი განაწილების შესწავლა თანამშრომლებისა და სტუდენტების ჯანმრთელობაზე რადონით განპირობებული რისკების შეფასებისა და მინიმიზების მიზნით	ზ. ჭახნაგია	ს. ფადაგა ზ. სიყმაშვილი გ.ჯაფარიძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			

აღსანიშნავია, რომ ს/კ ინსტიტუტი “ტალღა”-ს ხელმძღვანელობის მიერ, 2016 წელს  
დაგეგმილი ზემოაღნიშნული კვლევითი სამუშაოების დედააზრი დაფუძნებულია რიგი  
საერთაშორისო და კერძოდ, ბამერო-ს ატომური რადიაციის ზემოქმედების შემსწავლელი  
სამეცნიერო კომიტეტის (UNSCEAR), ბამერო-ს ეკონომიკური კომისიის ევროპის განყოფილების  
(UNECE), ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსა და შრომის დაცვის საერთაშორისო  
ბიუროს (IAEA/ILO), ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რადიოლოგიური  
დაცვის საერთაშორისო კომისიის (WHO/ICRP), აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტოს (US/EPA)

დადგენილებებსა და სახელმძღვანელო მითითებებზე. ზემოაღნიშნულ დადგენილებებსა და სახელმძღვანელო მითითებებში ხაზგასმულია, რომ „დღეს, ადამიანის ორგანიზმები რადონისა და მისი დაშლის პროდუქტების ზემოქმედების შემცირება წარმოადგენს რადიაციული უსაფრთხოების ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას – ხაზგადოების ჯანმრთელობის დონის ამაღლების მიზნით“.

**ცხობისათვის:** ადამიანის ორგანიზმში ინჰალაციის გზით მოხვედრილი ბუნებრივი წარმოშობის რადიოაქტიური აირი – რადონი (<sup>219, 220, 222</sup>Rn<sub>86</sub>) და მისი რადიოაქტიური დაშლის პროდუქტები, უმეტესწილად პოლონიუმის იზოტოპები (<sup>210, 214, 218</sup>Po<sub>84</sub>), იწვევენ ბრონქებისა და ფილტვის ეპითელიუმის ციტოგანეტიკურ დაზიანებებს და მრავალპოზიციურ ქრომოსომულ რდვევებს, შედეგად კი იზრდება პიროვნების ფილტვის კიბოთი დაავადების რისკი.

დადგენილია, რომ რადონით განპირობებული ფილტვის კიბოთი დაავადების შემთხვევები შეადგენს დავადების საერთო რაოდენობის 10-15 %.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (WHO/ICRC) მიერ რადონი კლასიფიცირებული იქნა როგორც A-კლასის კანცეროგენი და აღიარებული იქნა რადიაციული რისკის ფაქტორად, რომელიც იწვევს პიროვნების ფილტვის კიბოთი დაავადების შემთხვევების მატებას.